

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
განვითარების კონცეფცია**

შესავალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა საკუთარ თავში გულისხმობს განსაზღვრულ სფეროებში ფართო საკანონმდებლო ინიციატივის შესაძლებლობას. მართლაც, დეკანი ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეა. ერთდროულად დეკანი ფაკულტეტის აღმასრულებელი სტრუქტურის სათავეშია. ეს არის უმნიშვნელოვანესი საუნივერსიტეტო თანამდებობა, და ამ პოზიციიდან ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი, უპირველეს ყოვლისა, ფაკულტეტისთვის. ძლიერი ფაკულტეტების არსებობა კი ძლიერი უნივერსიტეტის არსებობის საწინდარია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი რეგიონული მასშტაბით მოქმედ მსგავსი ტიპის მულტიდისციპლინურ (ფილოსოფია, ისტორიის მეცნიერებები, ხელოვნებათმცოდნეობა, კულტურის კვლევები, ქართული ფილოლოგია, კავკასიოლოგია, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა, დასავლეთევროპული ენები და ლიტერატურა, რუსული ფილოლოგია, კლასიკური/ბიზანტიური/ახალბერძნული ფილოლოგია, თარგმანი, ამერიკისმცოდნეობა, ვიზუალური ხელოვნება) ფაკულტეტებს შორის უპირველესია. ის სასწავლო/სამეცნიერო ინსტიტუტები კი, რომლებიც ქართველოლოგიურ დარგებს და აღმოსავლეთმცოდნეობას ემსახურება, მსოფლიო მასშტაბით ავანგარდშია. დამატებით, როცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, მეტწილად, ტურიზმზეა აგებული, ქართველოლოგიური დარგების (მაგ., საქართველოს ისტორია, საქართველოს არქეოლოგია, საქართველოს ეთნოლოგია, საქართველოს ხელოვნებათმცოდნეობა) მნიშვნელობა უკვე რენტაბელურ და კომერციულ ელფერსაც იძენს. რაც შეეხება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, ის ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის უპირველესი ამოცანაა აღნიშნული ფაკულტეტის ამ განსაკუთრებული ინტელექტუალური და პრაგმატული პოზიციების შენარჩუნება. ამ პოზიციებს კი დღეს საფრთხე ემუქრება.

პრობლემები. ა) ფინანსები. რიგი, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი, მიზეზების გამო თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ხელფასები (უმაღლესი – 2 435 ლარი) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება იურიდიული (უმაღლესი – 3 550 ლარი) და ეკონომიკის და ბიზნესის (უმაღლესი – 4 000 ლარი) ფაკულტეტების პროფესურის ხელფასებს. ჰუმანიტარებზე მეტია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლექტორთა ხელფასები (უმაღლესი – 2 650 ლარი), მცირე რაოდენობით – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (უმაღლესი – 2 500 ლარი) და ცოტა ხნის წინ დაარსებული ფსიქოლოგისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის (უმაღლესი – 2 470

ლარი) აკადემიური პერსონალისა. ერთადერთი ფაკულტეტი, სადაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე უფრო დაბალი ხელფასებია, არის თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტი (უმაღლესი – 1 440 ლარი), რომელიც არ გამოირჩევა ხანგრძლივი ისტორიით. დღეს ივ. ჯავახიშვილის მიერ ინიცირებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხელფასების მიხედვით, შვიდი არსებული ფაკულტეტიდან მექევსე ადგილზეა. ყოველივე გაუგებარია, და დეპრესიულად მოქმედებს ამ ფაკულტეტის აკადემიურ შემადგენლობაზე. ეკონომიკური და მორალური სტიმულების გაქრობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტელექტუალური დონის დაცემის პირდაპირპოპორციულია. შესაბამისად, აუცილებელია ხელფასების აწევა. ამის შესაძლებლობა კი ნამდვილად არის, თუ ფაკულტეტის დაახლოებით 10 000 000 ლარის შემოსავლიდან თსუ-ის „ცენტრისკე“ წავა არა დაახლოებით 4 000 000 ლარი, რაც დღემდე ხორციელდება, არამედ – თუნდაც ამ თანხის ნახევარი, 2 000 000 ლარი. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თანადგომით, თსუ-ის აკადემიურ საბჭოში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს „ჰუმანიტარ“ წევრებთან კონსტრუქციული მუშაობით თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს შეუძლია ამ პრობლემის გადაჭრა ფაკულტეტის სასარგებლობ. ძლიერი ფაკულტეტის არსებობა კი, ვიმეორებ, ძლიერი უნივერსიტეტის არსებობის საფუძველია.

ბ) სხვა სახის ხარვეზი თითქოს უფრო ლოკალური ხასიათისაა, თუმცა, რეალურად, ისევ და ისევ სტიმულირების არაეფექტური სისტემიდან მომდინარეობს. ეს ხარვეზია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების არარსებობა, თუნდაც ქართველოლოგიაში. მიზეზი გასაგებია: თუ პროფესორს არ შესთავაზეს ღირსეული და გონივრული ანაზღაურება, ამ საქმეს ხელს არავინ მოკიდებს. ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების ამუშავება კი, ლოგიკურია, გაზრდის თსუ-ის შემოსავალს და პრესტიჟს. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მომავალი დეკანის ამოცანა, ხელფასების მატებასთან ერთად, არის ასეთი სასწავლო პროგრამების ინიცირება და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ს/ს ინსტიტუტების შესაბამისის აკადემიური ქმედებების კოორდინირება.

გ) ცუდი დაფინანსება ცუდი დისციპლინაა. მონიტორინგის საუნივერსიტეტო სამსახური არაეფექტურია. კონკრეტული ფუნქცია თსუ-ის ფაკულტეტების დეკანატებს უნდა გადაეცეს. მაღალანაზღაურებად ლექტორებს კი უფრო მეტი მოეთხოვებათ.

დ) თსუ-ში ბევრად მეტი ადმინისტრატორი, ვიდრე ლექტორი. ეს არ არის ნორმალური სიტუაცია. ბევრი ადმინისტრატორი სასწავლო პროცესისთვის წართმეული დიდი ფართია, განსაკუთრებით I კორპუსში. საჭიროა ამ პრობლემის მოგვარება.

ე) თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე მომზადებული ახალგაზრდები, აკადემიური საშტატო ერთეულების სიმცირის გამო, მასობრივად მიდიან საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში, ან – უცხოეთში. აღნიშნული ვითარება უნდა შეიცვალოს.

ვ) მოახლოებული პროგრამული აკრედიტაციისთვის მზადება და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოველდღიური ცხოვრების რეგულაცია დეკანის, დეკანატის, ფაკულტეტის საბჭოს, ხარისხის მართვის სამსახურის და ს/ს ინსტიტუტების ხელმძღვანელების ასევე ყოველდღიური მოვალეობაა.

ლექტორები გონივრული ანაზღაურებით, ბევრი ახალგაზრდა პედაგოგი, განახლებული და დასავლურ უნივერსიტეტებთან ინტეგრირებული სასწავლო პროგრამები, სასწავლო პროცესისთვის გამოთავისუფლებული დამატებითი ფართი სტუდენტის აკადემიურ ცხოვრებას უფრო საინტერესოს გახდის. უნივერსიტეტი, უპირველეს ყოვლისა, ლექტორი და სტუდენტია.

გამოცდილება. თსუ-ში დეკანის მოადგილე ვარ 1999 წლიდან დღემდე, მცირე ინტერვალებით, ჯერ ისტორიის ფაკულტეტის, შემდეგ – ჰუმანიტარული ფაკულტეტის, ბოლოს – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის. მაქს დიდი გამოცდილება. განსაკუთრებით კარგად ვიცი, თუ რა არის დეკანის სამეცნიერო-საორგანიზაციო ფუნქციები სამეცნიერო სფეროში. ამასთან დაკავშირებით მაგალითისთვის იხ. ქვემოთ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ თედო დუნდუას 2019 წლის ადმინისტრაციული მუშაობის ანგარიში. დეკანად არჩევის შემთხევევაში ვაპირებ აქ აღნიშნული ორიენტირების და სტანდარტების შენარჩუნებას.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის
მოადგილის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ თედო დუნდუას
2019 წლის ადმინისტრაციული მუშაობის
ანგარიში

ჩემი, როგორც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის (სამეცნიერო დარგში) და, ამასთან ერთად, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელის, ფუნქციები, რიგ შემთხვევაში, იდენტურია და გულისხმობს მეცნიერთა სხვადასხვა ჯგუფთან ინტენსიურ თანამშრომლობას სამეცნიერო ინიციატივების შეთავაზების და მათი რეალიზაციის ასპექტით. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს უკვე გადაეცა სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიში. აქ კი განსაკუთრებულ აქტივობებზეა ყურადღება გამახვილებული.

1. პუბლიკაციები და ინტერნაციონალიზაცია. მოგეხსენებათ, რომ ვარ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების რედაქტორი. ამით, ერთის მხრივ, სტიმულს ვაძლევ, ხოლო, მეორეს მხრივ, კოორდინაციას ვუწევ ფაკულტეტზე მიმდინარე სამეცნიერო მუშაობას. აღნიშნულ ჟურნალში წარმოდგენილია შემდეგი სპეციალობები – ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ფილოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, და სხვ. ჟურნალი საისტორიო ქართველოლოგიური მიმართულების ავანგარდშია, და, შესაბამისად, მისი

რედკოლეგია მუდმივ კონტაქტშია საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან. ბათუმის, ქუთაისის, გორის და თელავის უნივერსიტეტების წარმომადგენლები უურნალის მუდმივი ავტორები არიან. უურნალი მულტილინგვურია, და, შესაბამისად, მისი რედკოლეგიაც ინტერნაციონალურია, მათ შორის ზოგიერთი მსოფლიო დონის მეცნიერია. 2018 წლის ივლისიდან 2019 წლის იანვრამდე უურნალი განთავსებული იყო ERIH PLUS-ის ბაზაში. ახლა ვცდილობთ უკან დაბრუნებას, და Scopus-ში მოხვედრას. ამას ემსახურება 2019 წელს გამოცემული უურნალის XV ნომრის სპეციფიური სქოლირების სისტემა. უურნალის ელექტრონული მისამართია <http://geohistory.humanities.tsu.ge/ge/>. მე გახლავართ აღნიშნული საიტის თანავტორი. სხვა საიტი <http://geonumismatics.tsu.ge/ge/> მსოფლიოს მასშტაბით ყურადღების ცენტრშია, ვინაიდან აქ განთავსებულია Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. შესაბამისი ბმული ბევრ საერთაშორისო საიტზეა, მათ შორის – ელექტრონულ უურნალში AWOL (Ancient World Online) <http://ancientworldonline.blogspot.com/search?q=Tedo+dundua> (აშშ.). თსუ-ის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების „შვილობილი“ უურნალი, ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები, ასევე ჩემი რედაქტორობით იბეჭდება. 2019 წელს გამოსაცემად მომზადდა IV ტომი. მისი ავტორები, ძირითადად, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები არიან. ტომის ჰუბლიკაცია სადღაც ორ თვეშია მოსალოდნელი. ჩემი ყურადღების ცენტრშია შემდეგი საიტები – <https://tsu-ge.academia.edu/TedoDundua>, https://www.researchgate.net/profile/Tedo_Dundua. სწორედ აქ იტვირთება ინტენსიურად ჩვენი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ნაშრომები, განსაკუთრებით – უცხო ენებზე შესრულებული. შესაბამისად, კოეფიციენტებიც იზრდება. ჩემი ინიციატივით ჩამოყალიბებული და ჩემი ხელმძღვანელობით მომუშავე ჯგუფები თანამშრომლობენ და სტატიებს აქვეყნებენ ისეთ ცნობილ ელექტრონულ უურნალში, როგოროცაა Eurasia. Review, News and Analysis <https://www.eurasiareview.com/>, ისეთ ცნობილ ენციკლოპედიაში, როგორიცაა Ancient History Encyclopedia <https://www.ancient.eu/>. იგივე სტატიები და ბმულები ფიგურირებს www.wikipedia.org-ში. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის facebook-დან აღებული ნაშრომები და ინფორმაცია ფიგურირებდა Glunis-ში (Global Directory of Universities). პირადი და საუნივერსიტეტო არხების გამოყენებით, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ გამოცემული წიგნები მუდმივად იგზავნება კონგრესის ბიბლიოთეკაში (ვაშინგტონი), ბოდლეის ბიბლიოთეკაში (ოქსფორდი), სორბონაში, ვენაში, ვარშავაში და სხვ. იხ. www.worldcat.org.

2. კონფერენციები. 2021 წელს ვარშავაში ჩატარდება XVI საერთაშორისო კონგრესი. სავარაუდოდ, მე ვიქები სექციის Georgian Numismatics ხელმძღვანელი. შესაბამისი გუნდი შერჩეულია და მოხსენებათა თეზისებიც უკვე გადაეგზავნა საორგანიზაციო კომიტეტს. 2019 წლის 12 მარტს შესრულდა 100 წელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის ჩატარებიდან. ჩემი ორგანიზებით, ამ თარიღთან დაკავშირებით ჩატარდა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, რომელმაც შესაბამისის გამოხმაურება მოჰყვა. ასევე, ჩემი ორგანიზებით, ჩატარდა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური ღია კონფერენცია. იუნუს

ემრეს ინსტიტუტთან ერთად ვგეგმავთ საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას პირობითი სათაურით: Transcaucasian Transit and Georgian-Turkish Relations. 2019 წლიდან ვარ გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის ნეშტის საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის წევრი, და აშ.

3. გრანტები. 2019 წელს, ჩემი ინიციატივით, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს განსახილველად რამდენიმე პროექტი წარედგინა. აქედან, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთმა სამწლიანმა პროექტმა გაიმარჯვა (ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო; ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია, კოორდინატორი ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი ასოცირებული პროფესორი ეკატერინე კობახიძე). ვარ სხვადასხვა პროექტის რეკომენდატორი და კონსულტანტი.

4. მეცნიერების პოპულარიზაცია. ამისთვის 2019 წელს ვთანამშრომლობდი და განვაგრძობ თანამშრომლობას ა) თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან, ბ) ისტორიულ-შემცნებით ჟურნალთან „ისტორიანი“ (მთავარი რედაქტორი ისტორიის დოქტორი პროფესორი ჯაბა სამუშა), გ) Arte France-თან, რომელმაც ცოტა ადრე გადაიღო დოკუმენტური ფილმი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა მონაწილეობით – „დავით მეფის საქართველო“, და სხვ.

5. უნივერსიტეტი და პოლიტიკა. 2019 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნასთან დაკავშირებით გამოთქმულ ცნობილ მოსაზრებებს აკადემიური პასუხი სჭირდებოდა. ამასთან დაკავშირებით იხ. T. Dundua, E. Avdaliani. Abkhazians and Ossetians in Georgia. A Short History. Georgia Today. 19. 08. 2019. <http://georgiatoday.ge/news/16964/Abkhazians-%26-Ossetians-in-Georgia.-A-Short-History>. ნებისმიერ მსგავს სენსიტიურ საკითხს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი პასუხობდა facebook-ის საშუალებით (<https://www.facebook.com/GeorgianHistory/>); ასევე, ამისთვის გამოიყენებოდა პირადი კონტაქტები პარტნიორი სახელმწიფოების ელჩებთან და მოქალაქეებთან.

6. სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა ყოველთვის ჩემი განსაკუთრებული ყურადღების საგანია. გამომდინარე საკუთარი პროფესიიდან, უფრო მეტად ვარ ინფორმირებული სტუდენტ-ისტორიკოსთა მუშაობის შესახებ.

7. სხვადასხვა. არც ერთი ნაშრომი, შემოსული გარედან, რეცენზირების ან რედაქტირების თხოვნით, უყურადღებოდ არ დარჩენილა. და კიდევ ერთი რამ – ეს, ერთი შეხედვით, არ არის სამეცნიერო დარგში დეკანის მოადგილის საქმე. მაგრამ, ჩემი ინიციატივით, 2019 წლიდან მიმდინარეობს ინტენსიური დისკუსია სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაციასთან

დაკავშირებით. მხედველობაში მაქვს საქართველოს ისტორიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის შექმნა.

8. სტანდარტული პროცედურები. ვამოწმებდი დოქტორანტთა შრომების ინტერნაციონალიზაციის ხარისხს, მონაწილეობას ვიღებდი სხვადასხვა ტიპის კომისიების მუშაობაში, მუდმივად შეხვედრები მქონდა უცხოელ კოლეგებთან განსხვავებულ საკითხებთან დაკავშირებით და აშ.

ისტორიის მეცნირებათა დოქტორი პროფესორი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

05. 06. 20.

/თ. დუნდუა/

